პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 83 (6148) 27

1978 წ. აპრილი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხუთწლედის ფონდში 2500000 მანეთი

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1978 წლის 22 აპრილის სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგების შესახებ.

1978 წლის 22 აპრილს საქართველოს სს რესპუბლიკაში ორგანიზებულად, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ჩაიარა ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა კომუნისტურმა შაბათობამ.

შაბათობის მომწყობი რესპუბლიკური შტაბის ცნობით, შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 2 მილიონ 50 ათასმა კაცმა, აქედან თავიანთ სამუშაო ადგილებზე მუშაობდა 1 მილიონ 60 ათასი კაცი. გამოშვებულია 13.145 ათასი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 2 მილიონ 500 ათასი მანეთი.

კომუნისტური შაბათობის დღეს რესპუბლიკის მშრომელთა დამკვრელური შრომა მათი საქმიანი პასუხია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე. პარტიის მოწოდებაზე დავაჩქაროთ ხუთწლედის გეგმების რეალიზაცია. (საქინფორმი).

ახალგაზრდობა — კომუნიზმის მაჯაზე

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა

26 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა.

მოხსენება „სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიში და კომკავშირის ამოცანები ახალგაზრდობისათვის კომუნისტური შეგნების, კომუნიზმის აშენებისათვის მზადყოფნის, ნებისყოფისა და უნარის ჩამოყალიბების საქმეში“ გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა.

შესვენების შემდეგ კომკავშირის XVIII ყრილობისადმი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა ამ კომისიის თავმჯდომარემ ვ. ბ. არსენტიევმა.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ვ. ა. ჟიტენიოვმა.

ყრილობაზე დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

26 აპრილს გრძელდებოდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

ჩვენი სამოქმედო პროგრამა

დიალექტიკურ ურთიერთკავშირში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელიც მან წარმოთქვა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს სიტყვა, ჩემი აზრით, საპროგრამო სიტყვაა, რომლიც უნდა ვიხელმძღვანელოთ საბჭოთა ადამიანებმა. ჯერ, რა თქმა უნდა, ძნელია ამ დრმაშინაარსიანი სიტყვის ყველა დებულების კომენტარი ერთ ალბათ მომავალში, მისი სიუოველიანი შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი, მაგრამ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ერთი ადგილი, რომელიც დრმად ჩამრჩა მეხსიერებაში, მაინც შემიძლია გამოვყო. აი, ეს ადგილი:

„საბჭოს ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ზრუნვა პარტიის საშინაო პოლიტიკის ცენტრალური მიმართულებაა. ამასთან მხედველობაში გვაქვს ადამიანთა დონის როგორც მატერიალური, ისე კულტურული დონის ზრდა. ეთნი მეორეს არ უნდა მოვწყვიტოთ“. და შემდეგ — „მატერიალური სიკეთე ჩვენთვის თვითმიზანი კი არ, პიროვნების ყოველმხრივ განვითარების წინამძღვარია“.

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ პარტიის უპირველესი მიზანია პიროვნების ყოველმხრივ განვითარება. ეს კი გულისხმობს როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად განვითარებულ ადამიანს. აქედან გამომდინარეობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მნიშვნელობა, ფიზკულტურული მოძრაობის ისე წარმართვა, რომ იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს პარტიის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტას.

ეს უაღრესად საპატიო ამოცანა ფიზკულტურისა და სპორტის ყველა მუშაკს პირდაპირ გვავალებს, რომ ყოველ, გამოცდილება, ენერგია მოვიკრიბოთ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის დიდმნიშვნელოვან საქმეს.

ნ. ასათიანი,
„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

უმეტესი უკუგებით

ყველა კომკავშირელი, ახალგაზრდა დღეს გულდასმით ეცნობა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას.

როცა ლეონიდ ილიას ძე თითოეული საწარმოს, საამქროს, ბრიგადის, თითოეული მშრომელის ამოცანებზე ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ საჭიროა „შეექმნათ შრომითს კოლექტივებში ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, როცა თითოეული თავის ბუნებრივ მოვალეობად ჩათვლის და შესაძლებლობა ექნება — იმუშაოს მაქსიმალური პროდუქტიულობით, უმეტესი უკუგებით“...

მართლაც, თუ კოლექტივი მტკიცეა, თუ ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის იღვწის, თუ საწარმოში, საამქროში, ბრიგადაში, ჯანსაღი ატმოსფეროა, შრომაც სახალისო, უფრო პროდუქტიული და ხარისხიანია.

შრომით კოლექტივში კარგი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია ბრძოლისუნარიანი კომკავშირული ორგანიზაცია, მტკიცე ფიზკულტურული კოლექტივი. იმ საწარმოებში, სადაც კომკავშირელებმა თავიანთ ღვიძლ საქმედ გაიბადეს ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა და შრომითი კოლექტივი სპორტთან მჭიდროდ მეგობრობს, მუშაობაც სახალისოა და შრომისნაყოფიერებაც — მაღალი.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ კომკავშირის XVIII ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა ჩვენი საწარმოს ახალგაზრდებისთვის სამოქმედო პროგრამა გახდება — ყველა ჩვენგანი, როგორც ერთი, დაირაზმება, რათა ვიმუშაოთ მაქსიმალური პროდუქტიულობით, უმეტესი უკუგებით.

თამარ ბავშვაძე,
თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის მეორე საამქროს მკერავი, კომკავშირელი.

ხუთწლედის ხნულებს მხოლოდ ჯანსაღი თაობა გაიყვანს...

ამ დღეებში საბჭოთა ადამიანების გულისყური კრემლის ყრილობათა სასახლისკენაა მიპყრობილი, სადაც 25 აპრილს — სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე ვრცელი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად საბჭოთა სოფელს, მის პრობლემებსაც შეეხო: „რა თქმა უნდა, სოფელში ბრძანებით ვერავის ვერ დატოვებ, — თქვა მან, — სოფლად ცხოვრებისა და შრომის კარგი პირობების შექმნა, მიწათმოქმედის შრომისადმი პატივისცემის, მშობლიური ბუნების, დედამიწის სიყვარულის, საკუთარი მარჯვენით მისი მოვლის უნარისა და სურვილის ჩანერგვა — აი მინდვრებსა და ფერმებში სამუშაოდ მოზარდი თაობის მიზიდვის ჩვენი მეთოდი“.

ბუნებრივია, რომ სოფლად ცხოვრებისა და შრომის კარგი პირობების შექმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნასაც, — კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, კაფეების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გვერდით სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა-აშენებასაც გულისხმობს. თუნდაც ჩემი სოფლის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ იქ, სადაც ფიზიკური კულტურა და სპორტი ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობს, ახალგაზრდები მეტი ენერგიით, თავდადებითა და ხალისით შრომობენ. ის, ვინც შეეჯიდება საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს, მიუჯდება მძლავრ თანამედროვე ტექნიკას და მეათე ხუთწლედის ხნულებს გაიყვანს, ფიზიკურად მტკიცე, ძლიერი და ჯანსაღი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ მძლავრად უნდა გაშალოს ფრთები სოფლად ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ.

ბ. ხულოდავა,
გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს მოწინავე მეხიმინდე, ფიზკულტურელი.

ჩვენს რესპუბლიკაში მკვიდრდება შესანიშნავი ტრადიცია: ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად უკვე მეორე წელია ეწყობა მოკრივეთა საკავშირო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ლეგენდარული მე-18 არმიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნას. ტურნირში, რომელიც ამჯერად გორში 4-9 მაისს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და გმირი ქალაქების (მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ვოლგოგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, ქერჩის, ნოვოროსიისკის, ბრესტის, ტულის) ნაკრები გუნდები.

ტურნირზე საპატიო სტუმრებად მოწვეულნი არიან მცირე მიწის დამცველი დიდი სამამულო ომის ვეტერანები, გენერალი ვ. ვ. მზარელუა, ყოფილი სამხედრო ექიმი თ. ჰ. გოთუა, ყოფილი პოლიტმუშაკი ა. ი. აზიროვი და მე-18 არმიის თბილისის ვეტერანთა საბჭოს სხვა წარმომადგენლები. მოსკოვიდან, კიევიდან და დნეპროპეტროვსკიდან გორს ეწვევიან პოდპოლკოვნიკი ა. მ. მელკოვი, საექიმო სამსახურის გენერალი ნ. გ. კოსტეევი და სხვანი. მემორიალის საპატიო მთავარ მსაჯად მიწვეულია კონსტანტინე ლესელიძის ვაჟი, პოლკოვნიკი ოთარ ლესელიძე.

საქართველოდან მემორიალში გამოვლენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალისა და გორის მოკრივეები: ა. ხიზანიშვილი, მ. თაქთაქიშვილი, ა. სამუშია, ფ. ალბოროვი და სხვანი.

გამოჩენილი ქართველი მოკრივე დავით კვაჭაძე თუმცა ამ ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს ავადმყოფობის გამო, მაგრამ მას ვიხილავთ მსაჯთა კოლეგიაში.

შეჯიბრების მთავარი არბიტრი იქნება საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ენგიბარიანი (ერევანი).

იმ მოკრივეებს, რომლებიც ფინალში გაიკაფავენ გზას, მიენიჭებათ სსრკ სპორტის ოსტატის წოდება.

კონსტანტინე ლესელიძის რიგით მეორე მემორიალი უთუოდ ხელს შეუწყობს სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის პოპულარიზაციას და მოკრივეთა სპორტული დონის ამაღლებას, ამავე დროს იგი გადაიქცევა მამათა სახელოვან საბრძოლო ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის შესანიშნავ საშუალებად.

ე. გიორგაძე,
საქართველოს კრივის ფედერაციის ავტორიტეტისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

ტრადიციული, რიგით მეორე

კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი

●

ჭადრაკი

ყოველ შესვედრაში დიდი ენერგიით იბრძვის გამარჯვებისთვის საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილე ქალი, ახალგაზრდა ოსტატი ნ. იოსელიანი.

XIV ტურში მოჭადრაკე გოგონამ ლამაზი კომბინაციით დაამარცხინა ეკატერინა ი. კუზმინთან პარტიაში.

ზ. სტურუამ მოუგო ნ. ტერაშვილს (რუსთავი), გ. ზაიჩიკმა — ი. ცქიტიშვილს, ე. უბილავამ — რ. კაპანაძეს, გ. მაჭარაშვილმა — რ. დადიანს (სოხუმი), დაზავდნენ გ. ციხელაშვილი — მ. არჩვაძე (სამტრედია), ა. შახტახტინსკი (სოხუმი) — ლ. ნეკრასოვი (ბათუმი), დ. გელეგანიშვილი — ი. ჩიქოვანი და დ. ჩაჩიბაია — რ. ლომიძე (გარდაბანი).

14 ტურის შემდეგ ზ. სტურუას 12,5 ქულა აქვს, გ. ზაიჩიკს, დ. გელეგანიშვილს — 12-12, ე. უბილავას — 10,5, ნ. იოსელიანს, ი. ჩიქოვანს — 9,5-9,5.

რ. თავარიანი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სროლა

ათეულში — სამივე თბილისელი

ვიტყო�იანებოდით, რომ მოსკოვში, „ლოკომოტივის“ სტენდზე დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის დიდ პრიზზე“. ასპარეზობაში ათი ქვეყნის საუკეთესო ძალები მონაწილეობდნენ.

მრგვალ სტენდზე კარგად ისროლეს საქართველოს სპორტსმენებმა. თ. იმნაიშვილმა („ლოკომოტივი“) 200-დან 198 ქულა მოაგროვა და ქულით ჩამოიტოვა ა. ალავეი (მოსკოვი). მესამე ადგილი ერგო ი. პანაჩეკს (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც დამატებით სროლაში დაამარცხა ა. ესელევიჩი (სსრ კავშირი) და ბ. როსეტი (საფრანგეთი). სამივემ 196-196 ქულა აჩვენეს. VI-VIII ადგილები გაიყვეს ა. ფერმანმა (გდრ), თბილისელებმა ტ. ქელენტმა („ლოკომოტივი“) და თ. მატოიანმა (სსკ), რომლებმაც 195-195 ქულა მოაგროვეს.

ამ ვარჯიშში საბჭოთა ნაკრებმა 586 ქულა მოაგროვა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია. II ადგილზეა გფრ-ის გუნდი — 574, III — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 573.

გუნდური პირველობა აქაც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 574 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ესპანეთისა (572) და გფრ-ის (561) კოლექტივები.

ჰოკეი

გუშინ პრაღაში დაიწყო მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი. შვეიცის ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის გუნდი — 6:2. სსრკ — აშშ-ისა და ჩეხოსლოვაკია — გდრ-ის მატჩები გვიან ღამით დამთავრდა.

ᲨᲐᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადისათვის მზადება იოლი როდი იყო. საქართველოს სპორტკომიტეტს საკმაოდ ძნელი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. მართალია, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები წინა სპარტაკიადაში საერთო ჯამში ცუდად არ გამოსულან, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, ვეტერანები, რომლებიც ჩვენს გუნდებში ამინდს ქმნიდნენ, დიდ სარბიელს ეთხოვებოდნენ, მათი საიმედო ცვლა კი არ ჩანდა.

მართლაც, საქართველოს ნაკრებს არაერთი ისეთი მოთხილამურე და ფიგურისტი გამოაკლდა, რომლებმაც 1974 წლის ზამთრის სტარტებში მედლების მოპოვება შეძლეს. სპარტაკიადის შემდეგ დიდ სპორტს გამოეთხოვა სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. წაქაძე, მ. გავამ და გ. ჯიჭოევმა ახალგაზრდების აღზრდას მიჰყვეს ხელი. ყინული დატოვეს მ. ცერცვაძემ და ლ. გაბელაიამ, იყვნენ სხვებიც, რომლებსაც გუნდისათვის ქულების მოტანა შეეძლოთ.

აი, სწორედ მათი ცვლის მოძებნა და აღზრდა, ფეხზე დაყენება გახდა ჩვენი მწვრთნელების ზრუნვის ოთხწლიანი ციკლის მთავარი საგანი, მათთვის ინტენსიური ვარჯიშისთვის საჭირო პირობების შექმნა, ინვენტარითა და სხვა აუცილებლით მომარაგება, მთლიანი მუშაობის სწორი გზით წარმართვა გადაიქცა საქართველოს სპორტკომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად საკითხად, კომიტეტს კი სხვა ბევრი საზრუნავი ჰქონდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კიდევ უფრო აქტიურად იღვწიან ქვეყნად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების უფლება დასვენებაზე, რის გარანტიასაც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იძლევა, სპორტის ყველა სახეობის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უმაღლეს დონეზე აყვანის არნახულ ტემპებს მოითხოვს, ჩვენს კომიტეტს კი ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის უნდა ეზრუნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით შევძელით რესპუბლიკაში უფრო ფართოდ გაგვეშალა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა და სპარტაკიადისათვის სამზადისი. ჩვენმა ნაკრებმა გუნდებმა ძირითადად კარგად გადაიტანეს თამობათა ცვლა და ქვეყნის ზამთრის IV სპარტაკიადაში საკმარი რაოდენობის ქულებიც მოაგროვეს, თუმცა ჩავარდნებიც გვქონდა.

სასპარტაკიადო სტარტები კარგა ხანია დამთავრდა. მასში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის ანალიზის გაკეთება გაგვიგრძელდა, ვინაიდან ჩვენს მიზანს მარტო იმის დადგენა კი არ შეადგენდა გაგვერკვია ზამთრის III სპარტაკიადის შედეგებთან შედარებით სად კარგად გამოვედით და სად ცუდად, არამედ მთავარი იმ მიზეზების დადგენა იყო, რამაც ხელი შეუშალა საქართველოს სამთო და „მფრინავ მოთხილამურეებს“, მოეგიგავეებს, ფიგურული ხრიალის ოსტატებს ბაკურიანისა და სვერდლოვსკის სტარტებში უფრო მეტი ქულები მოეგროვებინათ. თუ კაცმა კარგად იცის, რა უშლის ხელს და ამ დაბრკოლების დაძლევის ძალა შესწევს, მომავალში წარმატების იმედი უნდა იქონიოს.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგია ამ დღეებში იმსჯელებს სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის გამოსვლის შედეგებისა და ხარვეზების გამოსწორების გზებზე, მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას, რომელიც სპორტსაზოგადოებების, ოლქების, ქალაქების, რაიონების სპორტკომიტეტების, მწვრთნელების მუშაობის სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს.

სპარტაკიადის ძირითად ნაწილს სვერდლოვსკი მასპინძლობდა. ამ ქალაქის ხელმძღვანელების, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდ ფორუმს შესანიშნავად გაართვეს თავი. ეს ღონისძიება კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. ამ ზრუნვის საილუსტრაციოდ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება: III სპარტაკიადის შემდეგ ჩვენს ქვეყანას ათობით ახალი სტადიონი, სპორტის სასახლე, საციგაო, ტრამპლინი, საციგურაო, კომპლექსური ბაზა შეემატა. IV სპარტაკიადის ყველა ეტაპის შეჯიბრებებში 31 მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა, 11 მილიონით მეტი, ვიდრე 1974 წელს. ეს ციფრები მეტყველებს წლევანდელი ზამთრის სტარტების მასშტაბურობაზე.

...ჭაბუკთა სწრაფდაშვებაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა ვ. სანაკოევმა პირველი ადგილი დაიკავა. ფაქტიურად ეს სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების დასაწყისში მოხდა და გულშემატკივრები იმედით აღივსნენ. მაგრამ შემდეგ?

საქართველოს სპორტსმენები მხოლოდ ხუთ სახეობაში მონაწილეობდნენ. პროგრამა კი გაცილებით ვრცელი გახლდათ. მაგალითად, მოსკოვმა ყველა — 9 სახეობაში გამოიყვანა გუნდები და 5620,875 ქულით პირველობაც მოიგო. 9-9 სახეობაში იბრძოდნენ ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, რვაში — ბელორუსიის კოლექტივები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვი, ლენინგრადი და ყველა რესპუბლიკა, რომლებიც სპარტაკიადაში ჩვენზე წინ აღმოჩნდნენ, უხვთოვლიანი რაიონებია და ბაზებიც გაცილებით მეტი აქვთ, რესპუბლიკების შეჯიბრებაში საქართველოს დელეგაციის VIII ადგილი ცუდად არ უნდა ჩაითვალოს.

შეიძლებოდა თუ არა უფრო მაღალი ადგილების მოპოვება? შეიძლებოდა, რომ თხილამურებით რბენასა და ტრამპლინიდან ხტომებში ჩვენი სპორტსმენები ხელმოცარულნი არ დარჩენილიყვნენ.

ისეთი მორბენლები, რომელთა იმედი შეიძლება კაცს ჰქონდეს, არასოდეს გვყოლია. მათი ლიდერი ა. მოროზოვი, რომელიც თანაგუნდელებს აშკარად ჯობდა, 47-ე ადგილზე მაღლა ვერ ავიდა 30 კილომეტრზე რბენაში (ა. კალმიკოვი 64-ე იყო, ლ. სოღოიანი — 68-ე, გ. მაკიევი და გ. გულბანი ფინიშამდეც ვერ მივიდნენ).

ჩვენი ქალთა გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი ნ. ბაღაშვილი აშკარად თავის შესაძლებლობაზე სუსტად ასპარეზობდა — 5 კილომეტრზე რბენაში 82-ე ადგილს დასჯერდა, 10 კილომეტრზე 104-ე იყო, 20 კილომეტრზე — 50-ე. მოროზოვმაც, ბაღაშვილმაც სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადააჭარბეს, მაგრამ... გუნდს ვერაფერი არგეს. უარესი შედეგები ჰქონდათ ჭაბუკებსა და გოგონებს.

მაგრამ მორბენლებიდან, როგორც ვთქვი, ბევრს არაფერს ველოდით, „მფრინავ მოთხილამურეებზე“ ამას ვერ ვიტყვით. არც ერთი წინა სპარტაკიადა ისე არ ჩატარებულა, რომ ტრამპლინიდან ხტომაში პრიზიორი არ გვყოლოდა. ადრე კ. წაქაძემ და მ. გავამ ოქროს მედლები მოიგეს. მაშინ გუნდი მრისხანე ძალას წარმოადგენდა და ვინ იფიქრებდა, რომ მათი ცვლა ასეთი სუსტი აღმოჩნდებოდა. არა და, ჩვენს გუნდს ახლა გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა — ბაკურიანის 3 ტრამპლინი ნებისმიერ კოლექტივს შეშურდება, ცხადია, მწვრთნელებმა ნ. და ზ. თეაურებმა ცუდად იმუშავეს, იმდენად ცუდად, რომ გუნდმა არა მარტო წინა სპარტაკიადაში მოპოვებული IV ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო, ერთი ქულის მოპოვებაც ვერ მოახერხა. ვაჟთა შორის ყველაზე კარგი 59-ე ადგილი იყო, რომელიც ს. ხაჩატურიანმა 90-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებაში მოიპოვა.

უნდა ვაღიაროთ, რომ სპორტსმენებიცა და მწვრთნელებიც სპარტაკიადისთვის მზადებას გულგრილად მოეკიდნენ. 70-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის ყველა წევრი უთანრიგოდ დარჩა (?!).

არც სამთოთოთხილამურეებს აქვთ დამშვიდების უფლება. იმის მიუხედავად, რომ სასპარტაკიადო შეჯიბრება კოსტაგორაზე მიმდინარეობდა, საქართველოს გუნდმა 4 წლის წინანდელი IX ადგილიდან XIV ადგილზე გადაინაცვლა. მათი 137 ქულა ძალიან მცირე მოსავალია.

აშკარად იგრძნობოდა, რომ სპორტსმენებს მორალური მომზადება აკლდათ. დაბალი იყო დისციპლინა, გუნდის წევრები პირადს გუნდის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. სანაკოევმა, ს. მიქაბერიძემ, ი. ნასყიდაშვილმა უწესისყოფობა გამოიჩინეს, როცა სლალომში თუ გიგანტურ სლალომში ასპარეზობისას მეორე ცდის სტარტზე არ გამოცხადდნენ.

რესპუბლიკაში სამთოთოთხილამურე ქალთა რიცხვმა იმატა. ეს ბაკურიანის „დინამოს“ ჯგუფების დამსახურებაა. ც. და მ. კოზანაშვილები, თ. გელაშვილი აშკარად ნიჭიერი სპორტსმენები არიან, მაგრამ სპეციალურ სლალომში სამივემ ცუდად იასპარეზა. ზოგ სხვა სახეობაშიც ჰქონდათ ჩავარდნა.

უდავოდ ქების ღირსია მოციგავეთა მწვრთნელების ა. ქუმარიტაშვილისა და ვ. მიქაბერიძის გარჯა. მათ გულთან მიიტანეს რესპუბლიკის ინტერესები და გუნდის უკეთ მომზადებისთვის კოლექტივთან ერთად რამდენიმე თვით დატოვეს ოჯახი. შედეგიც სახეზეა: ფ. და თ. ქუმარიტაშვილებმა ერთად გუნდს 72 ქულა მოუტანეს, თ. თედიაშვილმა — 17,5, ვ. ქუმარიტაშვილმა — 6,5, ჭაბუკებმა გ. ბუძიშვილმა და დ. ქუმარიტაშვილმა ერთად 10. სულ მოციგავეებმა 106 ქულა შეაგროვეს და III სპარტაკიადის IX ადგილიდან VI ადგილზე გადაინაცვლეს.

ეჭვი არ გვეპარება, მოციგავეებს სამთოთოთხილამურეებივითა და ტრამპლინიდან მხტომელებივით ბაკურიანში საკუთარი ხელიანი ბაზა რომ ჰქონდეთ ხელოვნური ყინულით, ქუმარიტაშვილი და მიქაბერიძე შექმნიდნენ უფრო ძლიერ კოლექტივს, რომელსაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა შეეძლებოდა.

ვერც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიგურული სრიალის სპორტულ სკოლას დავემდურებით. მწვრთნელებმა ი. ჯაფარიძემ და ვ. რეტიკინმა ცუდად როდი იმუშავეს. მართალია, ნაკრებმა ამ სახეობაში საფეხურით უკან დაიხია, მაგრამ ეს შედეგების გაუარესების მიზეზი კი არ იყო, არამედ მეტოქეთა რიცხვის საგრძნობი მატებისა. ჩვენმა სპორტსმენებმა ამ სახეობაში 146 ქულა მოაგროვეს. მედლებიც მეტი მოიპოვეს: თუ წინა სპარტაკიადიდან მედლით (ბრინჯაოსი) მარტო მ. ცერცვაძე დაბრუნდა, ახლა შანყულაშვილმა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მარტო მან 47 ქულის აღება შეძლო. ქალთა შორის ი. ბუთიკაშვილმა 49 ქულა მოაგროვა, ბ. ყურაშვილმა კოლექტივის ყულაბაში 19 ქულა შეიტანა, ი. გიგაურმა — 15, ო. რუხაძემ — 12, ნ. მამუკაშვილისა და ნ. დვალიშვილის დუეტმა — 4. დასანანია მხოლოდ ცეკვაში დ. ჯღამაძე — ლ. ნაკაიძისა და წყვილთა შეჯიბრებაში მ. სიხარულიძე — ს. შკარევსკაიას სუსტი გამოსვლა.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაში მარტო ბაკურიანელი და თბილისელი სპორტსმენებით ძნელია ებრძოლო თუნდაც სვერდლოვსკის ოლქის გუნდს, რომლის ყველა ქალაქს, რაიონს, სოფელს ზამთრის სპორტის ყველა სახეობის განვითარების შესანიშნავი ბუნებრივი (და ხელოვნურიც) პირობები აქვს, აღარას ვამბობ მოსკოვზე, ლენინგრადზე, უკრაინაზე, ბელორუსიაზე, რსფსრ-ს ოლქებისა და მხარეების 46 გუნდზე ამ სპარტაკიადაში დამოუკიდებლად რომ გამოდიოდნენ, ბევრიც რამდენიმე ოლქის ნაკრების სახით ცდიდა ძალას და ქულებს თანაბრად იყოფდნენ. გუნდების ეს სიმრავლეც იყო მიზეზი, რომ საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ რამდენიმე დაგეგმილი ქულა ვერ მიიღო.

ამ კომპლექსურმა შეჯიბრებამ ერთხელ და სამუდამოდ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს თბილი კლიმატური პირობების გამო ძალა არ შესწევს ზამთრის საკავშირო შეჯიბრებებში საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლოს. მაგრამ ისიც ნათელი გახდა, რომ ზოგიერთ სახეობაში ამის მიღწევა შეუძლია.

ჩვენი ამოცანაა მიზნის განხორციელებისთვის საერთო ძალით ვიბრძოლოთ, განსაკუთრებით ტრამპლინიდან ხტომის, სამთო-სათხილამურო სპორტის, ციგაობისა და ფიგურული სრიალის განვითარებისთვის, მაგრამ არც სხვა სახეობები უნდა დავიივიწყოთ.

დასასრულ იმ წვლილის შესახებ, რაც საქართველოს სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა შეიტანეს ჩვენი გუნდის საერთო მოსავალში. დინამოელებმა (11 მონაწილით) 124 ქულა მოგვცეს, 11 განთიადელმა — 115, „შრომითი რეზერვებმა“ (8) — 69,5, „სპარტაკმა“ (6) — 34, ასკ-მ (1) — 18, „კოლმეურნემ“ (8) — 17,5, „ბურევესტნიკმა“ (3) — 11.

როგორც ვხედავთ, ძალიან მცირეა „კოლმეურნისა“ და „ბურევესტნიკის“ ხვედრითი წონა. ეს დამაფიქრებელია!

ზ. ქველიაშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

საიმედო ძვრმბრძოლი

„ლელო“ უკვე იტყობინებოდა, რომ ალმა-ათაში გაიმართა საკავშირო მძლეოსნური კროსის ფინალური შეჯიბრებანი გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე. ახლა მოკლედ მოგითხრობთ, როგორ გამოვიდნენ ამ ასპარეზობაში საქართველოს გუნდები და ათლეტები.

ისე, როგორც შარშან, ამჯერადაც ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის 12 გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებთან შეჯიბრებაში შარშანდელი მე-15 ადგილიდან საფეხურით მაღლა აიწია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაკრები გუნდის პროგრესი. მართალია, ამ ოლქის მძლეოსნებს ცუდად არც შარშან უსპარეზიათ — თავიანთ ჯგუფში II ადგილი დაიკავეს, მაგრამ ამჯერად მათ ყველას აჯობეს და უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს.

ერთგვარი წინსვლა აქვს თბილისის მეორე ნაკრებს, რომელმაც შარშანდელი შედეგი 22 ადგილით გააუმჯობესა.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აჭარისა და ბათუმის კოლექტივებზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გუნდი შარშანდელი V ადგილიდან ბოლოს ჯგუფში XX ადგილზე გადავიდა, ბათუმელმა მძლეოსნებმა 128-დან 183-ე ადგილზე გადაინაცვლეს (?!).

სასიხარულოა ახალციხელი მძლეოსნების მწვრთნელის თ. ჯიშკარიანის აღზრდილების წარმატება. ახალციხელმა ჭაბუკმა ი. ლევიტმა („კოლმეურნე“) 2000 მეტრზე რბენაში მონაწილე 359 სპორტსმენთა დაჯგუფებაში საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში პირველმა შეძლო მეორე ადგილის დაკავება, რაც დიდი წარმატებაა. ასევე საქებარია ახალციხელი გოგონას ნ. ჭაღიაშვილის („კოლმეურნე“) წარმატება. მან 291 სპორტსმენთან შეჯიბრებაში მე-12 შედეგი აჩვენა.

შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ კროსმენების მომზადების საქმეში წლევანდელ კარგად იმუშავა „კოლმეურნეს“ ცენტრალურმა საბჭომ. მისმა გუნდმა შარშანდელიდან ორი საფეხურით წინ გადაინაცვლა და X ადგილი დაიკავა. ამ საზოგადოების თერმეტი მძლეოსანი საქართველოს ნაკრებში გამოდიოდა.

ა. გედეუკაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსი.

სსრ კავშირის თასი

ცნობილი გახდა მეოთხედფინალური მატჩების ჩატარების თარიღი და ადგილები.

7 ივნისს მოსკოვის „ლოკომოტივი“ უმასპინძლებს თბილისის „დინამოს“, კიევის დინამოელები მიიღებენ ლენინგრადის „ზენიტს“, დონეცკის „მახტორი“ — ბაქოს „ნეფთჩის“.

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი“	6	6	0	0	10—0	12
„შირაკი“	6	5	1	0	13—5	11
„ლოკომოტივი“	6	5	1	0	11—3	11
„გურია“	6	4	2	0	11—2	10
„დინამო“ ზ.	6	4	2	0	11—4	10
„ყარაბახი“	6	5	0	1	8—2	10
„დინამო“ ბ.	6	4	1	1	9—2	9
„დინამო“ ს.	6	4	1	1	11—5	9
ფიზკ. ინსტ.	6	3	3	0	9—5	9
„დილა“	6	2	4	0	8—5	8
„ზვეზდა“	6	2	2	2	5—5	6
„ურალეცი“	6	2	2	2	7—9	6
„ხაზარი“	6	2	1	3	5—6	5
„ზენიტი“	6	1	3	2	4—7	5
„ავტომობ.“	6	2	0	4	4—8	4
„არაზი“	6	1	1	4	6—10	3
„დრუჟბა“	6	1	1	4	3—7	3
„ბასტელო“	6	1	1	4	4—10	3
„პროგრესი“	6	1	0	5	8—13	2
„ტორპედო“	6	0	2	4	2—7	2
„რუბინი“	6	0	2	4	3—9	2
„ვაზოვიკი“	6	0	2	4	2—9	2
„დინამო“ კრ.	6	0	1	5	4—11	1
„ტურბინა“	6	0	1	5	3—17	1

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲐᲠᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დასკვნითი ეტაპის მეორე დღეს თბილისის „დინამო“ ცსკა-ს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. დერიუგინმა გუნდს 45 ქულა მოუტანა, დინამოელებმა მაინც წაავეს მატჩი — 95.125 (52:60). კაუნასის „ჟალგირისმა“ დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 110:105 (56:58) ამრიგად, ბრინჯაოს მედლების ბედი გადაწყდება თბილისელ და კაუნასელ კალათბურთელთა ბოლო მატჩში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	29	4	3667—3085	62
„სპარტ“.	21	12	3154—2997	54
„დინ“. თბ.	17	16	3209—3316	50
„ჟალგირ.“	16	17	3277—3392	49

ᲬᲧᲐᲠᲑᲣᲠᲗᲘ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ სსრ კავშირის ჩემპიონატი.

ბაქოში თბილისის „დინამომ“ მხოლოდ უკანასკნელ წამებზე ხელიდან გაუშვა მოგება მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრაში, შედეგად ფრე — 6:6. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „მეხნატი“ (ტაშკენტი) — „მოსკვიჩი“ (მოსკოვი) 7:10, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო“ (ლვოვი) 8:7.

გუშინ თბილისის „დინამომ“ დაამარცხა „მეხნატი“ — 6:4.

კიევში საინტერესო ბრძოლის შემდეგ სამხეთრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის წყალბურთელებმა მოუგეს ალმა-ათის „დინამოს — 6:2. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 5:4, „დინამო“ (კიევი) — სკიფი (მინსკი) 9:4.

ᲠᲔᲒᲑᲘ

ᲤᲔᲠᲒᲐᲜᲐᲨᲘ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მესამე ტურის შეხვედრები.

კარგად ითამაშეს თბილისელმა რკინიგზელებმა, რომლებმაც მოუგეს ლენინგრადის „პრიმორეცს“ — 22:7. „ელვამ“ ასევე დიდი ანგარიშით წააგო მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 3:25.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სლავა“ — „ავტომობილისტი“ (ორიეე — მოსკოვი) — 14:6, „ავიატორი“ — „პოლიტეხნიკი“ (ორიეე — კიევი) — 29:0, „ფილი“ (მოსკოვი) — სსა 18:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავიატორი“	3	3	0	0	70—3	6
„სლავა“	3	3	0	0	66—18	6
„ლოკომ“. თბ.	3	2	1	0	41—23	5
„ლოკომ“. მ.	3	2	0	1	43—15	4
„ფილი“	3	2	0	1	55—39	4
სსა	3	1	0	2	36—51	2
„პოლიტეხ“.	3	1	0	2	30—69	2
„ელვა“	3	0	1	2	13—48	1
„ავტომობ“.	3	0	0	3	21—44	0
„პრიმორ“.	3	0	0	3	13—78	0

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ დამთავრდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი.

110 კგ წონითს კატეგორიაში ორმა სპორტსმენმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა დნეპროპეტროვსკელმა ი. ზაიცევმა და ბროვარელმა ვ. კუზნიჩენკომ ერთნაირი შედეგი (395 კგ) აჩვენეს. გამარჯვება კუზნიჩენკოს მიენიჭა, რადგან იგი მეტოქეზე 400 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ერევნელ რ. ოჰანესიანს, რომელიც გამარჯვებულს 2,5 კილოგრამით ჩამორჩა.

ზემძიმე წონის (110 კილოგრამს ზევით) ათლეტთა ჭიდილში გაიმარჯვა დნეპროპეტროვსკელმა ს. რახმანოვმა, რომელმაც დამატებით ცდაზე 200,5 კილოგრამი აიტაცა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ

გაანვიმტკიცოთ ობიექტური მაყურებლის სახელი

სპორტის პოპულარობის ზრდასთან ერთად დღეს ასევე განუხრელად იზრდება გულშემატკივართა რიცხვიც. საყვარელი გუნდისა და სპორტსმენის ქომაგობა წესად იქცა და ჩვეულად ჩამოყალიბდა. გულშემატკივრის გზა ყოველთვის ია-ვარდით მოსილი როდია: მას მუდამ თან სდევს სიხარული და სინანული, სიამაყე და გაწბილება. ჭეშმარიტი გულშემატკივრობა ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც არის.

წლეულს, მას შემდეგ, რაც პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალური პრიზი დააწესა, ეს პასუხისმგებლობა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა. კიდევ უფრო დაახლოვდა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, უკვე საბოლოოდ გაერთიანდა გუნდისა და გულშემატკივრის ინტერესები. აკი პრიზსაც შესაფერისი სახელი ჰქვია — „გუნდთან ერთად“.

მინ ჩატარებულმა საკავშირო ჩემპიონატის ორმა ტურმა სიხარულიც მოგვიტანა და სინანულიც. სეზონის სტარტზე, პირველ მატჩში, ჩვენმა გუნდმა და მაყურებლებმა 105 ქულა მოიპოვეს და იმთავითვე სერიოზული განაცხადი გაკეთეს სპატიო პრიზისთვის ბრძოლაში. მეორე მატჩი კი ამ მხრივ სინანულის მატჩი იყო და იგი გაკვთილად უნდა იქცეს როგორც გუნდის, ისე მისი გულშემატკივრებისთვის. უტაქტო ფეხბურთელისა და თავხედი გულშემატკივრის საქციელი საქვეყნოდ უნდა დავგმოთ, ვინაიდან როგორც ჩვენი დიდი წინაპარი დავით გურამიშვილი იტყოდა, „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების“.

როგორი უნდა იყოს სპორტის ჭეშმარიტი ქომაგი, რა მოეთხოვება მას, ვინ და რატომ არცხვენს ჩვენი მაყურებლის, ობიექტური გულშემატკივრის სახელს, რა უნდა ვიღონოთ ჯანსაღი გულშემატკივრობის აღზრდისა და ტრიბუნების ერთსულოვნებისთვის?

ასეთია იმ ძირითად საკითხთა წრე, რომლის ირგვლივაც გვაქვს სჯა-ბაასი „ლელოს“ ფურცლებზე. სასაუბროდ ვიწვევთ მათ, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი სპორტისა და ჭეშმარიტი გულშემატკივრის ღირსება. ეს იქნება თავისებური გამოკითხვა საზოგადოებრივი აზრისა, ოაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო სრულვყოთ და განვიმტკიცოთ ობიექტური მაყურებლის საპატიო სახელი.

ტრიბუნებს გუნდიც მართავს

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მაყურებელი, რომელიც სპორტული ასპარეზობის სანახავად მოდის, ტრიბუნაზე უსათუოდ ხმაგაკმენდილი და გასუსული უნდა იჯდეს. ამას არავინ მოითხოვს გულშემატკივრისგან, მაგრამ ემოციებისადმი კონტროლი და თავის დაჭერა ყველას ეგალება.

გულახდილად ვთქვათ: განა ჯინმე ისეცემს თავს უფლებას საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებშიც ასე მოიქცეს, როგორც ზოგიერთი აკეთებს ამას სპორტული სარბიელის ტრიბუნაზე? რა თქმა უნდა, არა.

ალბათ ბევრს უნახავს თბილისის „დინამოს“ ძველი თამაშების ამსახველი კინოკადრები. რამდენი ქალი და მოზარდია ტრიბუნებზე! მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქოს გაინტკიცდა გულშემატკივრის ინსტიტუტი, კულტურისა და შეგნების საერთო დონეც ამაღლდა, ტრიბუნებზე კი ქალებისა და ბავშვების რიცხვი ძალიან შემცირდა. ხომ არ არის ამაში დამნაშავე ის თითო-ოროლა ავყია გულშემატკივარი, გვერდით მჯდომთა წაყრუებით გათამამებული უშვერი სიტყვების კორიანტელს რომ აყენებს ტრიბუნებზე? იქნებ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე? ამავე დროს, თუ გვსურს ტრადიცია დავიბრუნოთ, ახლაც ისეთი თავდაჭერილი და ზრდილობიანი ფეხბურთელები უნდა გვყავდეს, როგორიც ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე და მათი მეგობრები იყვნენ. ტრიბუნების განწყობა უმეტესად თვით სპორტსმენებზეცაა დამოკიდებული: თავშეუკავებლობის საბაბს ზოგჯერ მაყურებელს აძლევს ის ფეხბურთელი, რომელიც მინდორზე დემონსტრაციულ პროტესტს გამოთქვამს მსაჯის ან მეტოქის მიმართ. დიდი ფეხბურთის ისტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ ნამდვილ სპორტსმენებს შველა და მხარდაჭერა მაყურებლისთვის ეთხოვოთ. სხვა რომ არაფერი, ეს თვით კოლექტივის ღირსების შელახვა იქნებოდა გულშემატკიკრის თვალში და გუნდს, რაგინდ ავტორიტეტულიც უნდა იყოს იგი, მაყურებელი ამას ვერ აპატიებს. სტადიონზე მოსულ მაყურებელს მართვა სჭირდება და ტრიბუნების სადავეები პირველ რიგში გუნდს შეუძლია აიღოს ხელში რაინდული თამაშით.

თავშეკავება მართებს მაყურებელსაც და ფეხბურთელსაც. კიევის „დინამოსთან“ ჩვენ 40 ქულა დავკარგეთ „გუნდთან ერთად“ პრიზისთვის ბრძოლაში. 30 ქულა ვიღაც ვი-გულშემატკივრის „წყალობით“, რომელმაც მინდორზე რაღაც საკანი ისროლა, 10 ქულა კი — კანთელაძის უხეში თამაშისთვის. ამან ყველა უნდა დავავიფიქროს. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ჯანსაღი გულშემატკივრობა საერთო კულტურის ერთ-ერთი საზომია.

ს. ჯორბენაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი.

შევისწავლოთ წესები

ათასობით სხვადასხვა ხასიათის, ტემპერამენტისა და ემოციების მაყურებელი მოდის სტადიონზე. გვერდით რომ გულშემატკივარი გიზის, ზოგჯერ სრულიად განსხვავებული აზრი აქვს ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაზე. ასეა თქვენს წინა და უკანა რიგებშიც, ყველა ტრიბუნაზე. ვინ მოთვლის, რამდენი განსხვავებული აზრია ამდენ ხალხში. ბევრი კარგად არ იცნობს თამაშის წესებს, ყველა თავისებურად აღიქვამს და განიცდის მინდორზე ფეხბურთელის ან მსაჯის ამა თუ იმ მოქმედებას... კიდევ საჭიროა მეტი ვიზრუნოთ მაყურებელთა სპეციალურ მომზადებაზე. მხედველობაში მაქვს პრესაში გულშემატკივართათვის საინტერესო საკითხებზე წერილების გამოქვეყნება, რადიო და ტელევადაცემების მომზადება. თამაშის წესების განმარტებას შეიძლება მატჩების პროგრამებშიც დაეთმოს ადგილი, გულშემატკივართა მონაწილეობით საღამო-შეხვედრების მოწყობაც არ უნდა იყოს საძნელო საქმე. ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საზოგადოება „ცოდნასაც“.

გ. დანელია,
პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.

დავიცვათ ზომიერება

დიდი ფეხბურთის დღეს ყოველთვის მოუთმენლად მოველით. როცა თბილისის „დინამო“ შინ თამაშობს და ვიცით, რომ სტადიონზე უნდა წავიდეთ, სამუშაოსაც ამაღლებული ხალისით ვასრულებთ, ეს განწყობილება თამაშზეც მიგვყვება, მაგრამ ყოველთვის ასეთ კარგ გუნებაზე როდი ვტოვებთ ტრიბუნებს მატჩის შემდეგ. უხალისობა ძალაუნებურად მეორე დღეს შრომაშიც იჩენს ხოლმე თავს.

სპორტი სპორტია და ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ, მაგრამ კაცს გული არ დაგწყდება, როცა გამარჯვებისთვის ყველაფერი იღონა გუნდმა და მაინც, ზოგჯერ გამარჯვების შემდეგაც, როგორც იტყვიან, „ნერვებდაწყვეტილი“ გამოვდივართ სტადიონიდან. მიზეზი ზოგიერთი გულშემატკივრის თავშეუკავებლობა და წრეგადასული ქომაგობა გახლავთ. მე, მაგალითად, ზედმეტად მიმაჩნია მსაჯის გადაწყვეტილების გამო ხმამაღალი აღშფოთების გამოხატვა. ამბობ ხომ სულ ერთია არაფერი შეიცვლება, უტაქტობამ კი შეიძლება ობიექტური მაყურებლის სახელი გაგვიტეხოს, ჩრდილი მიაყენოს ჩვენს საყვარელ გუნდს. ყველას უნდა შეეძლოს ზომიერების ჩარჩოებში მოაქციოს თავისი ემოციები. ვინც ამას ვერ შეძლებს, მას უნდა წესრიგისკენ მოვუწოდოთ.

ე. ცერცვაძე,
მე-15 სამშენებლო ტრესტის მე-2 სამმართველოს მემონტაჟე.

I წრის შემდეგ

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სპორტული დარბაზში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა თბილისის ჩემპიონატის I წრის შეხვედრები ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების, თბილისის განათლების განყოფილების (ორი), ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს სპორტული სკოლისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტკლუბის კოლექტივები.

წარმატებით იასპარეზეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და 6 ქულით სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს. I წრის შეხვედრების შემდეგ 5 ქულით II ადგილზე არიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხოლო III უნივერსიტეტის წარმომადგენლები (4 ქ).

ქ. სალუქვაძე.

სურათზე: თბილისის უნივერსიტეტისა და განათლების განყოფილების ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

გვეკითხებიან — ვპასუხობთ

ქანცგამწყვეტი ვარჯიშის შემდეგ

რედაქციაში ხშირად მოგვდის წერილები, რომელთა ავტორებიც გვთხოვენ მოვუთხროთ კულტურიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, იმაზე, თუ როგორ მოქმედებს იგი ადამიანის ჯანმრთელობაზე, მისი სხეულისა და სულის ფორმირებაზე.

ადამიანის ფიზიკური სილამაზე ბევრი დიდი შემოქმედის შთაგონების წყაროდ ქცეულა. გავიხსენოთ ჰომეროსის ოდისევსი, აქილევსი, მიქელანჯელოს დავითი, დიდი მხატვრების ტილოები, სადაც ფიზიკურ სილამაზეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სხეულის ძალისა და სილამაზის განსავითარებელ ვარჯიშებს ჯერ კიდევ საბერძნეთსა და რომში მისდევდნენ. ძველ სპარტაში ადამიანის გამძლეობა, ფიზიკური და სულიერი წრთობა პირველი რიგის ამოცანად იყო ქცეული. სწორედ ამ ქვეყნებში უნდა ვეძიოთ ის ფესვები, რომელზედაც თანამედროვე კულტურიზმი აღმოცენდა.

კულტურიზმი — შტანგებით, განტელებით, გირებით და სხვა სპორტული იარაღებით ფიზიკური ვარჯიშის სისტემაა, მიზანი — კუნთოვანი ქსოვილის განვითარება.

ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ავსტრალიაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კულტურიზმის ნაცვლად მიღებულია ტერმინი „ბოდი-ბილდინგი“, რაც პირდაპირი თარგმანით სხეულმშენებლობას ნიშნავს.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გერმანელმა ათლეტმა ე. ზანდოვმა დიდ ბრიტანეთში შექმნა კულტურიზმის პირველი სექცია „ფიზიკალ კულტურ“-ი. ზანდოვი ხანმოკლე ვარჯიშის შემდეგ სექციის წევრებს ძლიერი და ლამაზი ტანის დაყენებას პირდებოდა. დროთა განმავლობაში მანვე დაამუშავა და შექმნა თანამედროვე კულტურიზმის თეორიული საწყისები. კულტურიზმი მალე გასცდა დიდი ბრიტანეთის საზღვრებს. 1901 წლიდან უკვე ტარდება მამაკაცის სხეულის სილამაზის საერთაშორისო კონკურსები, ორმოცდაათიანი წლებიდან კი იმართება ყოველწლიური მსოფლიო ჩემპიონატი კულტურიზმში.

1946 წელს შეიქმნა კულტურიზმის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც დღეისათვის ოცდაათამდე წევრ ქვეყანას აერთიანებს.

ორმოცდაათიან წლებში რიგ ქვეყნებში გავრცელდა პროფესიონალური კულტურიზმი, რომელმაც კუნთების სიდიდე გამოაცხადა კულტად და არ ცნობს ადამიანის საერთო ჰარმონიას. სრულყოფილ ფიზიკურ განვითარებას და ამასთან — ჯანმრთელობას.

პირველი კონკურსებიდანვე კულტურიზმში აქტიურად ჩაერია ბიზნესი, რომელმაც მკვეთრად შეუცვალა მიმართულება სხეულის კულტურას და იგი „ბოდი-ბილდინგად“ აქცია. დაიწყო ვარჯიშები ქანცგაწყვეტამდე, ჭაბუკები არაფერს იშურებდნენ სანუკვარ კონკურსებში გამარჯვებისთვის. არაერთი ფაქტია ცნობილი, რომ განუწყვეტელ ვარჯიშებს ახალგაზრდა გონებრივ დეპრესიამდე მიჰყავს, აყეყეჩებს მას.

კულტურისტების პირველი ჯგუფები საბჭოთა კავშირში სამოციან წლებში ჩამოყალიბდა ათლეტური ტანვარჯიშის სექციებთან. თუმცა შემდგომში მასობრივ განვითარებას ვერ მიაღწია, მაგრამ შეიქმნა ცალკეული კლუბები, სადაც მახინჯდებოდა ვარჯიშის დაშვებული ნორმები. სწორედ ამიტომ 1973 წლის 24 იანვარს საკავშირო სპორტკომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც კულტურიზმის აკრძალვას ითვალისწინებს. გარდა ამისა 1977 წელს მოსკოვის სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა მოსკოვის ათლეტური ტანვარჯიშის სექციების არასწორი მუშაობა და დაადგინა: რეგისტრირებულ იქნას

ყველა სექცია, ჯგუფი, კლუბი, აგრეთვე მისი წევრები და მწვრთნელები. რაიონულმა სპორტკომიტეტებმა ნებართვა უნდა მისცენ მხოლოდ ათლეტური ტანვარჯიშის კლუბებისა და სექციების გახსნას. მწვრთნელად დაუშვან მხოლოდ ის მუშაკები, ვისაც რაიონული სპორტკომიტეტის რეკომენდაცია იქნებათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სპორტული ფედერაციები და ოლიმპიური კომიტეტი არ სცნობენ კულტურიზმს, როგორც სპორტის სახეობას, ხოლო კულტურისტების კონკურსებს — სპორტულ შეჯიბრებად.

ყველა ახალგაზრდას სურვილი აქვს ფიზიკური სრულყოფისა და ხშირად ამ საკითხით დაინტერესებული ჭაბუკი ვერ მიჯნავს კულტურიზმს ათლეტური ტანვარჯიშისაგან. ათლეტური ტანვარჯიში ხელს უწყობს სხეულის კუნთების პროპორციულ განვითარებას და ლამაზი ტანის სახელი გაგვიტეხოს, ჩრდილი მიაყენოს ჩვენს საყვარელ გუნდს. ყველას უნდა შეეძლოს ზომიერების ჩარჩოებში მოაქციოს თავისი ემოციები. ვინც ამას ვერ შეძლებს, მას უნდა წესრიგისკენ მოვუწოდოთ.

ალბერტ ალბერტოვიჩ ბეგიშევი

ალბერტ ალბერტოვიჩ ბეგიშევი — ბელორუსელი ფეხბურთელი, „ბორბალა“ — ბ. ბ. ბ.

დიდი უპირატესობით

ბიდგოშჩის (პოლონეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 16 ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობს, 12 ტურის შემდეგაც ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, ოსტატი ნ. გურიელი. მას 10 ქულა აქვს და უახლოეს მეტოქეებს — საერთაშორისო ოსტატებს ს. ვოკრუალოვას (ჩეხოსლოვაკია) და მ. ტეოდორესკუს (რუმინეთი) 2,5 ქულით უსწრებს.

XII ტურში ნინომ მოუგო ა. ვან დერ გისენს (ჰოლანდია).

ფინიშამდე სამი ტური დარჩა.

მაიამ ტემპს უმატა

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს ბუდაპეშტის (უნგრეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის 14 მონაწილეს შორის არის ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძე.

თავიდან ლიდერობა ხელთ იგდო საერთაშორისო ოსტატმა ჟ. ვერეცემ (უნგრეთი). მაია ყაიმებს სჯერდებოდა, მაგრამ თანდათან უმატა ტემპს.

IX ტურში საბჭოთა ჩემპიონი დაგწია დაწინაურებულ მასპინძელს. ამ დღეს ვერეცი დაუზავდა მურეშანს (რუმინეთი), ჩიბურდანიძემ კი მოუგო იუგოსლავიის ჩემპიონს მაჩეკს (კალხბრენერი). X ტურში ორივემ გაიმარჯვა: ვერეცემ შიკოვასთან (ბულგარეთი) და მაიამ შმაჩინსკასთან (პოლონეთი).

10 ტურის შემდეგ მ. ჩიბურდანიძეს და ჟ. ვერეცის 8-8 ქულა აქვთ.

დღეს დასკვნითი შეხვედრებია

ლვოვში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში, გუშინწინ XIV ტურის შეხვედრები მოეწყო.

ლიდერების ი. ბალაშოვ (მოსკოვი) — რ. ვაჰანიანის (ერევანი) პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ აგრეთვე, გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ო. რომანიშინი და ა. ბელიავსკი (ორიოლი — ლვოვი) — ვ. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი).

ვ. სმისლოვმა (მოსკოვი) მოუგო ვ. საკონს (ხარკოვი), ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) მეორე მარცხი აგუმა ა. კოჩიევს (ლენინგრადი). სხვა პარტიები გადაიდო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: მოსკოვის ახალი უნივერსალური სპორტის სასახლე ლუჟნიკში.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

თამაშობს კოზე კაიშაური

— ძალიან კმაყოფილი ვარ ვიქტორ გოგლიძის მემორიალში მონაწილეობით, თან მიმყვება მშობლიური ხალხის სითბო და სიყვარული, — თქვა გამოთხოვებისას შვეიცარიაში მცხოვრებმა ქართველმა მოჭადრაკემ, საერთაშორისო ოსტატმა კ. კაიშაურმა. შარშან ოქტომბერში მან ითამაშა ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო ტურნირში, რომელიც თბილისსა და სოხუმში ჩატარდა.

თბილისში ყოფნისას კაიშაურმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ხალხთა მეგობრობის“ მუზეუმიც დაათვალიერა. მოეწონა და მასპინძლებს დახმარებას დაპირდა. და აი, ამას წინათ მუზეუმმა სტოკჰოლმიდან მიიღო მის მიერ სხვადასხვა ისტორიულ საცავში მიკვლეული სანტერესო ცნობები რუსეთის არტილერიის გენერლის ალექსანდრე ბაგრატიონის შესახებ. პეტრე პირველის უახლოესი მეგობარი, ჩრდილოეთის ომში ტყვედ ჩავარდნილი ა. ბაგრატიონი სამშობლოში ველარ დაბრუნდა და მთელი ცხოვრება შვეიცარიაში გაატარა. მუზეუმის ხელმძღვანელობის აზრით, კაიშაურის მოწოდებული ცნობები მეტად მნიშვნელოვანია, რისთვისაც მას მადლობის ბარათი გაეგზავნა. ეს მასალები წლეულს ზაფხულში მოსკოვშიც იქნება გამოფენილი.

ეს მიწერ-მოწერა მხოლოდ დასაწყისია კაიშაურის თანამშრომლობისა „ხალხთა მეგობრობის“ მუზეუმთან. იგი ამჟამადაც გრძელდება.

მცირე შესვენების შემდეგ, 1977 წლის მიწურულს კაიშაური მონაწილეობდა გამოჩენილი შვედი საჭადრაკო მოღვაწის რისტონის ტრადიციულ, VII მემორიალში. ამ ტურნირში საასპარეზოდ სტოკჰოლმში ჩავიდა 91 მოჭადრაკე (მათ შორის 7 საერთაშორისო ოსტატი) ფინეთიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, ინგლისიდან, გფრ-დან, ისლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად მოეწყო.

კაიშაურმა 6,5 ქულა დააგროვა და IV-VI ადგილები გაიყო, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით V ადგილი ხვდა. მან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო, სამაგიეროდ ხუთი პარტია მოიგო. ფინიშზე კაიშაურმა დაამარცხა თავისი მუდმივი მეტოქე — შვეიცის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. ორსტეინი, რომელიც მხოლოდ XVII ადგილზე გავიდა. საინტერესოა, რომ ორსტეინის ბედი გაიზიარეს სხვა საერთაშორისო ოსტატებმაც, მათ შორის თბილისელთათვის ცნობილმა პოლონეთის ექს-ჩემპიონმა ა. შნაპაკმა (იგი ვ. გოგლიძის III მემორიალში მონაწილეობდა 1974 წ.), რომელმაც მხოლოდ XXII ადგილი დიკავა.

ახალი წლის დამდეგს ბერგენის (ნორვეგია) ჭადრაკის მესვეურებმა თავიანთ პირველ საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ უხმეს სკანდინავიის ქვეყნების ცნობილ ოსტატებს. შეჯიბრებას მეტი ლაზათი რომ ჰქონოდა, ორგანიზატორებმა მიიწვიეს, აგრეთვე, უნგრელი დიდოსტატები ი. ფარაგო, ლ. ლენდიელი და დანიის ახალგაზრდა ექს-ჩემპიონი ჰ. ისკოვი. სტარტზე 18 მოჭადრაკე გამოვიდა (გათამაშდა ცხრა ტური).

თავიდან დაწინაურდა კაიშაური, რომელმაც ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო. სწრაფად გახმიანდა ფინელ დიდოსტატ ჰ. ვესტერინენთან მისი გამარჯვების ამბავი. აი, ეს პარტიაც:

კაიშაური — ვესტერინენი

ძველინდური დაცვა

1.c4 ᲑF6 2. ᲑC3 g6 3. g3 ᲒB7 4. ᲒB2 0—0 5. ᲑF3 d6 6. 0—0 e5 7. ᲑB1 ᲑBd7 8. b4 ᲑE8 9. e3 f5 10. d4 ᲑgH8 11. ᲒB2 ᲑB6 12. c5 ᲑC4 13. de ᲑxB2 14. ᲒxB2 ᲒD7 15. ᲒD2 ᲛC8 16. ᲒE1 ᲒC6 17. e4 de 18. b5 ᲒxE4 19. ᲑxE4 fe 20. ᲒxE4 ᲛF5 21. ᲛE2 a6 22. ab ᲒxA6 23. ᲑE5 ᲑF6 24. ᲒB4 ᲒE6 25. f4 ᲑH5 26. ᲒD5 ᲒEE8 27. ᲒE4 ᲒxE5 28. ᲒxE5 ᲒxE5 29. ᲛxE5+ ᲛxE5 30. fe c6 31. ᲒB3 ᲒE8 32. e6 ᲑG7 33. ᲒE2 ᲑF5 34. ᲒD2 ᲑGg7 35. g4 ᲑE3 36. ᲒD7+ ᲑgF6 37. h3 ᲑD5 38. ᲒxD5 cd 39. ᲒxH7 ᲒxE6 40. ᲒxB7 ᲒA6 41. ᲒB6+ შაეები დანებდნენ.

შემდგომ კაიშაურმა ორი შეხვედრა წააგო, მაგრამ VI ტურში კვლავ გაიმარჯვა და ლიდერებს წამოეწია. ფინიშზე კაიშაურის მეტოქეები უნგრელი დიდოსტატები იყვნენ. იგი ჯერ შეხვდა ლენდიელს და პარტია ყაიმით დამთავრა, დასკვნითს, IX ტურში კი ეთამაშა ფარაგოს. ამ დროს ორივეს 5,5-5,5 ქულა ჰქონდა და ფაქტიურად I ადგილის ბედი მათს პარტიაში წყდებოდა. მაგრამ კაიშაურს აუცილებლად უნდა მოეგო, რომ საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივიც (პირველი ბალი) შეესრულებინა. ამიტომ იგი თავგამოდებით, რისკიანად იბრძოდა, არ მიიღო ფარაგოს შემოთავაზებული ყაიმი და, როგორც ხდება ასეთ შემთხვევაში, დამარცხდა.

კაიშაურმა 5,5 ქულით, როგორც სტოკჰოლმში, IV-VI ადგილები გაიყო, კოეფიციენტთა ცხრილით მას V ადგილი მიეკუთვნა.

ამ ტურნირებიდან კაიშაურის პარტიებმა საუცხო შთაბეჭდილება დატოვეს და იგი სხვა ქვეყნებში მოჭადრაკეთა ფორუმების სასურველი მონაწილე გახდა.

მაისში კაიშაური მიწვეულია ვროცლავის საერთაშორისო ტურნირში. პოლონეთის ეს ქალაქი ცნობილია, როგორც XIX საუკუნის გამოჩენილი მოჭადრაკეების ა. ანდერსენისა და ზ. ტარაშის სამშობლო.

თ. გიორგაძე.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

პოლიციელის ოცნება

კელსინკი. „მოსკოვის ოლიმპიადისათვის 30 წელი შემისრულდება. 5000-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებისათვის ჩემი სისწრაფე, როგორც ჩანს, საკმარისი არ იქნება. ამიტომ 10000 მეტრზე და მარათონში ვიასპარეზებ. პროგრამის ამ სახეობებში ოქროს მედლებისათვის ვიბრძოლებ“. — ჟურნალისტებს განუცხადა ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ვირენმა (მან გაიმარჯვა 5000 და 10000-მეტრიან დისტანციებზე მიუნხენსა და მონრეალში).

1978 წლის დასაწყისში ფინელი სპორტსმენი ვარჯიშობდა და ასპარეზობდა (არცთუ წარმატებით) ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და პუერტო-რიკოში. ამიტომ ვირენს ჰკითხეს:

— დედამიწის მეორე ბოლოში სუსტად გამოსვლებისთვის გაგაკრიტიკეს. რას იტყვით „თავის გასამართლებლად“?

— მე მანქანა არა ვარ. ამასთან ავსტრალიასა და პუერტო-რიკოში 30-გრადუსიან სიცხეში ვირბინე და თანაც შეუძლებელია ყოველდღე რეკორდების დამყარება. ისინი „მოდიან და მადიან“, ხოლო ოლიმპიური მედლები რჩება.

— როგორია თქვენი საწვრთნელი დატვირთვა?

— ყოველდღიურად 20-25 კილომეტრს დავრბივარ.

— როგორ ართმევთ თავს პოლიციელის პროფესიულ ვალდებულებებს?

— სამსახურებრივ მოვალეობას მონდომებით ვასრულებ.

ვირენი ლახტიდან 40 კმ-ით დაცილებულ მიურსკიულში ცხოვრობს. ამ ქალაქში 2300 მცხოვრებია, ხოლო ადგილობრივ სპორტკლუბში 100 კაცია გაერთიანებული. ლასე 28 წლისაა, ჰყავს ცოლი და 9 თვის ბიჭი თომასი..

— როგორც ამბობენ, თქვენი ერთადერთი მიზანია მოსკოვის ოლიმპიადა?

— ვეცდები კარგად გამოვიდე წლეულს პრაღაში ევროპის ჩემპიონატში, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადა ჩემთვის მთავარი მიზანია.

იგივე 400 მეტრი, მაგრამ...

—ჩემი უახლოესი გეგმის მწვერვალია მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადება, ძალიან მინდა ვიასპარეზო ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში მესუთე ოლიმპიურ თამაშებში, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა ყველაზე ტიტულოვანმა პოლონელმა სპორტსმენმა ირენა შევინსკამ.

— წლევანდელ ევროპის ჩემპიონატში, — განაცხადა 7 ოლიმპიური მედლის მფლობელმა, — 200 და 400 მეტრზე რბენაში ვიასპარეზებ, ჩემის აზრით, ამ დისტანციებზე მაქვს წარმატების ყველაზე მეტი შანსი. ბოლო დროს კონკურენცია ძალიან გამწვავდა. ყოველ სტარტზე სულ უფრო მეტი ახალგაზრდა, ძლიერი მეტოქეები გამოდიან, ამიტომ, როგორც არასდროს, ისეთი მონდომებით ვემზადები პრაღის ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც ჩემთვის მესუთეა. ვიმედოვნებ, ერთ-ერთ მედალს დავისაკუთრებ.

ამ სეზონისთვის ჩემი მზადების თავისებურება ისაა, რომ დარბაზებში სრულებით არ მიასპარეზია, ისე კი ბევრს ვვარჯიშობდი. ვაპირებ თვენახევრის განმავლობაში შუამთიან ზოლში ვივარჯიშო. მზადების ამ მეთოდმა არაერთხელ გამიმართლა.

— ოცნებობთ თუ არა ახალ რეკორდებზე?

— რეკორდების გაუმჯობესება ის დისტანციებზე, რომლებზეც მე გამოვდივარ ძნელია. ამიტომ ვფიქრობ ძალა მოვსინჯო ახალ სახეობაში — 400 მეტრზე თარჯრბენში, რომელშიც რამდენიმეჯერ გამოვედი და, დარწმუნებული ვარ, მთლიანად არ გამმივლენია ჩემი შესაძლებლობები.

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘ

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სპორტულ მოძრაობას ძლიერი სტიმული მისცა მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებამ.

წინა ოლიმპიადის შემდეგ პერიოდში მონგოლეთის სპორტსმენებმა საზღვარგარეთ სპორტის 13 სახეობაში ისასპარეზეს. მონგოლეთმაც უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირებს — თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში, ძიუდოში, სპორტულ ტანვარჯიშში, მშვილდოსნობაში, კრივში, საციგურაო სპორტში. ორი წლის განმავლობაში მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საერთაშორისო შეჯიბრებებში სხვადასხვა ღირსების 232 მედალი მოიხვეჭეს.

ამჟამად მონგოლეთში ტარდება ეროვნული ჩემპიონატები თანამედროვე სპორტის 18 სახეობაში. სპორტის დონის ამაღლებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე მძლეოსნობაში ქვეყნის რეკორდი 49-ჯერ, ხოლო ძალოსნობაში 54-ჯერ გაუმჯობესდა.

გაიმართა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სხდომა, რომელზეც დასახული იქნა მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადების ახალი ღონისძიებები. (საკდესი).

კისინჯერი — ლიგის პრეზიდენტი

ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთის ლიგას, რომელშიც აშშ-სა და კანადის პროფესიული კლუბები შედიან, ახალი პრეზიდენტი ჰყავს — აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი. კისინჯერი ადრეც იყო ცნობილი როგორც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი.

ნეესკენსი ვერ ითამაშებს

გამოჩენილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი ნეესკენსი ისე მძიმედ დაშავდა „ბარსელონას“ და „ეინდჰოვენის“ მატჩში უეფა-ს თასზე, რომ ალბათ მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში.

ერთბაშად 5 როლში

ამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავს ჯო ნემეტს ამას წინათ კინოგადასვლა დებიუტი ჰქონდა. ჰოლივუდის სათავგადასავლო ფილმში მან ერთბაშად 5 როლი შეასრულა — ფეხბურთელის, კალათბურთელის, მთამსვლელის, განგსტერისა და... ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტისა.

მოულოდნელი პასუხები

პარიზის „ეკიპმა“ მკითხველებს ასეთი შეკითხვა მისცა: „უნდა გადავიდეს თუ არა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პლატინი სხვა რომელიმე სახელმწიფოს კლუბში?“. მკითხველების 70-მა პროცენტმა ჩათვალა, რომ პლატინი უნდა გადავიდეს უცხოეთის რომელიმე წამყვან კლუბში.

მწვრთნელი იცვლება

როგორც ჰოლანდიის პრესა იუწყება, უახლოეს ხანებში ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდს დაუბრუნდება მწვრთნელი რინუს მიხელსი, რომლის ხელმძღვანელობითაც მან მსოფლიოს წინა ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა. რაც შეეხება ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს ე. ჰაპელს (ავსტრია), იგი სათავეში ჩაუდგება ამსტერდამის „აიაქსს“.

„სპორტლოტო“

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მეჩვიდმეტე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“: 6, 12, 22, 33, 41, 44. შეღავათიანი ბურთული — 40.

„სპორტლოტო-2“: 5, 16, 33, 41, 44, 49. შეღავათიანი ბურთული — 43.

დღეს

თბილისში, ალპიური კლუბის სხდომათა დარბაზში მუშაობას იწყებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან, კულტურისა და დასვენების პარკებთან არსებულ სპორტ-ტექნიკური კლუბების, სექციებისა და პედაგოგ-ორგანიზატორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

დასაწყისი 10 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — УЭ 07804